საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ დავით სონღულაშვილს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს

ქალბატონ მარიამ ქვრივიშვილს

სოფლების დიდივანის, შუასურებისა და ზემოსურებისა სოფლების

მოსახლეობის

პ ო ზ ი ც ი ა

„სურები 2 ჰესის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით

ჩვენ, მდინარე სუფსის ხეობის მაცხოვრებლები, კვლავ გამოვხატავთ ჩვენს კატეგორიულ უარყოფით პოზიციას „სურები 2 ჰესის" მშენებლობის მიმართ. სკოპინგის ანგარიშის შემდეგ გამოქვეყნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში არათუ არ გაითვალისწინა ჩვენი სკოპინგის პროცესში გაკეთებული შენიშვნები, პირიქით, ინვესტორი ცდილობს ყოველგვარი საშუალებით გაამართლოს პროექტი და შენიღბოს მისი რეალური ზემოქმედება.

არგანხორციელების (ნულოვანი) ალტერნატივის მოჩვენებითი განხილვა

ანგარიშში წარმოდგენილი „ნულოვანი ალტერნატივის" თავი არის დაწერილი არა იმისთვის, რომ ობიექტურად შეფასდეს პროექტის აუცილებლობა, არამედ იმისთვის, რომ წინასწარ მიღებული გადაწყვეტილება რაღაცნაირად დაასაბუთოს. მთელი თავი ერთ რამეს ემსახურება - დაგვარწმუნოს, რომ ჰესის აშენება აუცილებელია, მის გარეშე ვერც ქვეყანა და ვერც ჩვენ გადავრჩებით.

ანგარიშში პირდაპირ წერია, რომ „პროექტის განუხორციელებლობა უფრო უარყოფითი ხასიათის მატარებელია ვიდრე მისი განხორციელება". ეს დასკვნა კი ისეა გაკეთებული, რომ:

- არ არის გაანალიზებული, რა დანაკარგს განიცდის ხეობა გარემოსდაცვითი, სოციალური, კულტურულ და ეკონომიკურ ჭრილში, როგორც ამას ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების კანონმდებლობა;
- არ არის შეფასებული ხეობის ბუნებრივი სილამაზე და რას ვუკარგავთ ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს მისი განადგურებით;
- არ არის დასაბუთებული, რამდენად რეალურია დაპირებული ეკონომიკური სარგებელი;
- არ არის შედარებული მისაყენებელი ზიანი დაპირებულ „სარგებელს".

ენერგეტიკული საჭიროების დაუსაბუთებლობა

ანგარიშში ბევრს ლაპარაკობენ ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობაზე, იმპორტის ჩანაცვლებაზე და თბოგენერაციის შემცირებაზე, მაგრამ კონკრეტულ კითხვებზე პასუხი არსად არის:

- რამდენ ენერგიას გამოიმუშავებს ჰესი ზამთრის თვეებში, როცა მართლა გვჭირდება? ანგარიშში მხოლოდ წლიური 90.6 მილიონი კვტ.სთ არის მოცემული. ეს საქართველოს

ორი დღის მოხმარებაა. მაგრამ რამდენი მოდის ამ რიცხვიდან დეკემბერში, იანვარში, თებერვალში - როცა მართლა დეფიციტია?

- რატომ უნდა დავიჯეროთ, რომ ეს ჰესი რაიმეს შეცვლის ენერგეტიკულად? თვითონვე წერენ, რომ „ამ სიმძლავრის ჰესი ვერ გადაჭრის ქვეყნის წინაშე მდგარ ენერგეტიკულ პრობლემებს". მაშინ რატომ უნდა გავწიროთ ჩვენი ხეობა/მდინარე?
- თავად სახელმწიფო ელექტროსისტემის შეფასების ანგარიში ამბობს, რომ მოდინებაზე მომუშავე ჰესები უქმნიან სისტემას მანევრირების პრობლემას? მაშინ კიდევ უფრო გაუგებარია რატომ უნდა გაიწიროს 15 მეგავატის გამო ხეობა?

ფრაგმენტაცია - პროექტის განზრახ დაქუცმაცება

სკოპინგის ეტაპზე ვთხოვდით, 35 კვ გადამცემი ხაზი და ქვესადგური ჰესის პროექტის ნაწილად განეხილათ. ერთად განხილვის გარეშე პროექტის უარყოფითი ზემოქმედების შეფასება წარმოუდგენელია. ამასთან კანონიც ამას მოითხოვს - ტექნიკურად და ფუნქციურად დაკავშირებული საქმიანობები ერთად უნდა შეფასდეს.

გზშ ანგარიშშიც იგივე მიდგომაა - 8 კილომეტრიანი გადამცემი ხაზი და ქვესადგური კვლავ ცალკეა გამოყოფილი. ეს არის მიზანმიმართული მცდელობა, რომ პროექტის რეალური მასშტაბი დაიმალოს. ჰესი გადამცემი ხაზის გარეშე უბრალოდ ვერ იმუშავებს - ეს ყველამ იცის. მაგრამ ინვესტორისთვის უფრო მოსახერხებელია, ცალ-ცალკე წარმოადგინოს, რომ თითოეულის ზემოქმედება „უმნიშვნელოდ" გამოიყურებოდეს.

კუმულაციური ზემოქმედების იგნორირება

ანგარიშში წერია, რომ კუმულაციური ზემოქმედება „მოსალოდნელი არ არის", რადგან თურმე სხვა პროექტები არ არის დაგეგმილი. ეს უბრალოდ სიცრუეა:

- თვითონ ინვესტორს აქვს დაგეგმილი გადამცემი ხაზი და ქვესადგური, როგორც მინიმუმ;
- მდინარე სუფსასა და მის შენაკადებზე ეკონომიკის სამინისტროს არაერთი ჰესის პროექტი აქვს;
- ხეობაში უკვე არის ინფრასტრუქტურული პროექტები.

რა ერთობლივ ზემოქმედებას მოახდენს ეს ყველაფერი ჩვენს ხეობაზე - ამაზე არაფერია ნათქვამი გზშ ანგარიშში.

„სოციალური სარგებლის" მითი

ანგარიშში ძალიან ბევრს წერენ სოციალურ სარგებელზე: 200-ზე მეტი სამუშაო ადგილი მშენებლობაზე, 25 მუდმივი პოზიცია, გადასახადები ბიუჯეტში, გზების რეაბილიტაცია, ხიდების შეკეთება...

რეალობა სხვაა:

- 200 სამუშაო ადგილი მშენებლობაზე - რამდენი იქნება ადგილობრივი და რამდენი მოყვანილი კადრები? ვინ გადაამზადეს ხეობაში?
- 25 მუდმივი პოზიცია - ანუ მთელი ხეობის განადგურების სანაცვლოდ 25 ადამიანი დასაქმდება?
- გზების რეაბილიტაცია - ეს ისედაც სახელმწიფოს ვალდებულებაა, რას აკეთებს სახელმწიფო?
- 150 ათასი ლარი წელიწადში სოფლებისთვის - რაში და როგორ უნდა განაწილდეს ეს „სარგებელი“? ანუ თითოეულ მაცხოვრებელს წელიწადში რამდენიმე ასეულ ლარს

მოგვცემენ სამუდამოდ განადგურებული მდინარის სანაცვლოდ, თუ ეს თანხები მოხმარდება მხოლოდ ზოგიერთს?

- წერენ, რომ „კომპანიის მაღალი სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე" სხვადასხვა პროექტს განახორციელებენ. თუ ასეთი მაღალი პასუხისმგებლობა აქვთ, რატომ არ ისმენენ ჩვენს ხმას, როცა 222 ადამიანმა მოაწერა ხელი წინა წერილს?

რა არ წერია გზშ ანგარიშში:

მდინარის რეალური ბედი: 0.36 კუბური მეტრი წამში - ეს არის ის, რასაც „ეკოლოგიურ ხარჯს" უწოდებენ. ეს პრაქტიკულად მდინარის დაშრობაა. 7 კილომეტრიან მონაკვეთზე, სადაც დღეს კანიონი, ჩანჩქერები, ტბები და წითელი ნუსხის კალმახებია, დარჩება მშრალი კალაპოტი.

ტურისტული პოტენციალის განადგურება: ჩვენს ხეობას უზარმაზარი პოტენციალი აქვს ეკოტურიზმისთვის. ერთი 15-მეგავატიანი ჰესის გულისთვის ეს პოტენციალი სამუდამოდ განადგურდება. რატომღაც ეს ნაწილი არავის გაუანგარიშებია.

მეწყრული პროცესები: ანგარიშში ისე წერენ, თითქოს მეწყერსაშიშ ზონებს ვერ ხედავენ. ჩვენ, ვინც ამ ხეობაში ვცხოვრობთ, კარგად ვიცით, სად არის პრობლემური უბნები.

მიკროკლიმატის ცვლილება: მდინარის დაშრობა აუცილებლად შეცვლის ხეობის მიკროკლიმატს - ეს აისახება სოფლის მეურნეობაზე, ჩვენს ჯანმრთელობაზე, ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ამაზე ანგარიშში არაფერია.

დასკვნა

გზშ ანგარიში ისეა დაწერილი, რომ პროექტის საჭიროება გადაჭარბებულად იყოს წარმოჩენილი და არა იმისთვის, რომ ობიექტურად შეფასდეს მისი ზემოქმედება ჩვენზე, ჩვენს ხეობასა და გარემოზე. ნულოვანი ალტერნატივის თავში პირდაპირ წერია: „პროექტის განუხორციელებლობა უფრო უარყოფითი ხასიათის მატარებელია". ეს დასკვნა გაკეთებულია ჩვენი აზრის გათვალისწინების გარეშე, ჩვენი ხეობის რეალური ღირებულების შეფასების გარეშე.

ჩვენ არ გვჭირდება 150 ათასი ლარი წელიწადში. ჩვენ გვჭირდება ჩვენი მდინარე, ჩვენი ხეობა, ჩვენი მომავალი.

კიდევ ერთხელ ვაცხადებთ - არ დავუშვებთ პროექტის განხორციელებას. მოვითხოვთ:

- შეწყდეს პროექტის შემდგომი განვითარება
- ჩატარდეს ობიექტური კვლევა ხეობის ტურისტული და ეკოლოგიური პოტენციალის შესახებ
- გათვალისწინებულ იქნეს ადგილობრივი მოსახლეობის პოზიცია, რომელიც აქ თაობებია ცხოვრობს და აპირებს ცხოვრებას.

180 ხელმოწერა